საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-217
2019 წლის 6 ნოემბერი

ქ. თბილისი

,,დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 2 მაისის №01-74 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. ,,დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 2 მაისის №01-74 ბრძანებით (ვებგვერდი, 03/05/2019,სარეგისტრაციო კოდი: 480040000.22.030.016194) დამტკიცებულ დიპლომატიური სამსახურის გავლის წესს 32-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 32^1 მუხლი:

,,მუხლი 32^1. მოსამსახურის დაზღვევა

1. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებული თანამშრომელი ექვემდებარება სავალდებულო სამედიცინო დაზღვევას, რომელიც ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.”.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საგარეო საქმეთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ მახარობლიშვილი**